საქართველოს ეროვნული ბანკი

სატენდერო დოკუმენტაცია

დამოუკიდებელი ინტერნეტ რესურსებით სარგებლობის უზრუნველყოფის მომსახურების შესყიდვა გამარტივებული ელექტრონული ტენდერის საშუალებით

(კლასიფიკატორის დანაყოფი 72400000)

წინამდებარე სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 12[1] მუხლის, „სახელმწიფო შესყიდვის ელექტრონული საშუალებით განხორციელების შესახებ დროებითი წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2010 წლის 22 ოქტომბრის N9 ბრძანების საფუძველზე.

ქ. თბილისი
2011 წელი

სარჩევი

1. ინსტრუქცია გამარტივებულ ელექტრონულ ტენდერში მონაწილეობის მისაღებად_____ 3
2. ტექნიკური დოკუმენტაცია _____ 7
3. საკვალიფიკაციო მოთხოვნები _____ 8
4. ტექნიკური დოკუმენტაცია _____ 9
5. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პროექტი_____ 10
6. დანართი N1, აფიდავიტის საილუსტრაციო ფორმა_____ 14

ინსტრუქცია
გამარტივებულ ელექტრონულ ტენდერში მონაწილეობის მისაღებად

1. გამარტივებული ელექტრონული ტენდერი (შემდგომში „ტენდერი“) ტარდება სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის (შემდგომში „სისტემა“) მეშვეობით.
2. გამარტივებული ელექტრონული ტენდერის გამოცხადებისთანავე, თქვენ გეძლევათ საშუალება გაეცნოთ სატენდერო განცხადებას და სატენდერო დოკუმენტაციას. სატენდერო წინადადების მიღება იწყება წინადადების მიღების ვადის დასრულებამდე 2 დღით ადრე.
3. სატენდერო წინადადების წარდგენისათვის: პირველ რიგში, მიმწოდებელი უნდა დარეგისტრირდეს სისტემაში (იხ.სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის მომხმარებლის სახელმძღვანელო: **www.procurement.gov.ge**).
4. შემდეგ, იგი ვალდებულია გაეცნოს აფიდავიტს და დაეთანხმოს მას (გაცნობას და თანხმობას ადასტურებს სისტემის მეშვეობით). ამის შემდეგ, იგი ვალდებულია ჯერ წარმოადგინოს სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის გარანტია, ხოლო შემდეგ გადაიხადოს ტენდერში მონაწილეობის საფასური. აღნიშნული მოქმედებები უნდა განხორციელდეს ელექტრონულად (სისტემის მეშვეობით).
5. აღნიშნული ქმედებების განხორციელების გარეშე თქვენ არ გექნებათ სატენდერო წინადადების წარდგენისა და, შესაბამისად, ტენდერში მონაწილეობის შესაძლებლობა.
6. სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის გარანტიის მოქმედების ვადა, სულ მცირე 30 კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს წინადადებების მიღების დაწყების თარიღს.
7. სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის გარანტია დაბრუნებას არ ექვემდებარება შემდეგ შემთხვევებში:

   ა) პრეტენდენტი უარს იტყვის თავის სატენდერო წინადადებაზე;
   ბ) პრეტენდენტი შეყვანილია შავ სიაში შესაბამისი ტენდერის ჩატარების შედეგად;
   გ) პრეტენდენტი დისკვალიფიცირებულია ქვემოთ მოცემული მიზეზების გამო:

   - თუ მის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები არ შეესაბამება სატენდერო განცხადებას ან/და სატენდერო დოკუმენტაციას;
   - თუ ის არ წარმოადგენს საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელ დოკუმენტებს სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნათა დაცვით;
   - თუ ის არის გამარჯვებული პრეტენდენტი და უარს აცხადებს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადებაზე ან არ წარმოადგენს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიას (ამ მექანიზმის გამოყენების შემთხვევაში);
   - თუ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადების უფლების მოპოვების მიზნით, ჩაიდენს არაკეთილსინდისიერ ქმედებას.

8. მას შემდეგ, რაც ზემოაღნიშნულ ქმედებებს განახორციელებთ, თქვენ უფლება გაქვთ სისტემის მეშვეობით წარადგინოთ სატენდერო წინადადება.
9. სატენდერო წინადადება შედგება სატენდერო წინადადების ფასისგან და ტექნიკური დოკუმენტაციისგან და მოქმედებს ტენდერის ნებისმიერი შედეგით დასრულებამდე

(ხელშეკრულების გაფორმება, ტენდერის უარყოფითი შედეგით დასრულება, ტენდერის შეწყვეტა).

10. „ტექნიკური დოკუმენტაცია“ არის პრეტენდენტის მიერ სისტემაში ატვირთული შესყიდვის ობიექტისა და პრეტენდენტის შესახებ ნებისმიერი სახის ინფორმაცია, რომელიც მოთხოვნილია სატენდერო განცხადებითა და სატენდერო დოკუმენტაციით, გარდა საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტებისა.
11. ტექნიკური დოკუმენტაციის ატვირთვის შემდეგ, თქვენ გაქვთ შესაძლებლობა მიუთითოთ თქვენი სატენდერო წინადადების ფასი. თუ სატენდერო განცხადებაში მითითებულია, რომ სატენდერო წინადადების ფასი წარმოდგენილ უნდა იქნას დამატებული ღირებულების გადასახადის (შემდგომში დღგ) გარეშე, მიმწოდებელი სისტემაში ფასს უთითებს დღგ–ს გარეშე, თუმცა თუ იგი დღგ–ს გადამხდელია, შესაბამისი ოდენობით თანხა გათვალისწინებულ იქნება ხელშეკრულებაში.
12. სატენდერო წინადადების ფასის მითითებისთანავე თქვენ უფლება გაქვთ მიიღოთ მონაწილეობა ელექტრონულ ვაჭრობაში, რომელიც იყოფა ძირითად დროდ და დამატებით 3 რაუნდად.
13. ძირითად დროში უფლება გაქვთ ცვალოთ თქვენი ფასი, კლებადობის პრინციპის გათვალისწინებითა და შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ ბიჯზე არანაკლები ოდენობით.
14. ბიჯი არის სატენდერო წინადადების ფასის კლების წინასაწარ განსაზღვრული მინიმალური ოდენობა, რომელიც მითითებულია სატენდერო განცხადების შესაბამის ველში.
15. დამატებითი რაუნდების თითოეულ რაუნდში პრეტენდენტს უფლება აქვს მხოლოდ ერთხელ შეამციროს წინადადების ფასი, რისთვისაც განესაზღვრება ორი წუთი. დამატებით რაუნდებში მონაწილეობა სავალდებულო არ არის და პრეტენდენტს უფლება აქვს რაუნდში მონაწილეობა არ მიიღოს და, შესაბამისად, ძალაში დარჩება მის მიერ ბოლოს დაფიქსირებული ფასი. რაუნდებში მონაწილეობის მიღება გულისხმობს ზემოთ აღნიშნული პრინციპით ფასის შემცირებას ან მის იგივე ოდენობით დატოვებას.
16. დამატებით რაუნდებში მონაწილეობის უფლება აქვთ მხოლოდ იმ პრეტენდენტებს, რომლებმაც ძირითად დროში წარადგინეს წინადადება დადგენილი წესით. პირველ რაუნდში პრეტენდენტის მიერ წინადადების ფასის წარდგენის რიგითობა განისაზღვრება ძირითად დროში წარდგენილი წინადადების ფასის მიხედვით, კერძოდ, პირველ რაუნდში ბოლო შეთავაზებას აკეთებს ის პრეტენდენტი, რომელმაც ძირითად დროში ყველაზე დაბალი ფასი დააფიქსირა, ხოლო ყოველ მომდევნო რაუნდში - კი ის პრეტენდენტი, რომელმაც წინა რაუნდში ყველაზე დაბალი ფასი დააფიქსირა. წინადადების თანაბარი ფასების დაფიქსირების შემთხვევაში, რაუნდში ბოლო შეთავაზებას აკეთებს ის პრეტენდენტი, რომელმაც პირველმა დააფიქსირა ასეთი ფასი.
17. მას შემდეგ, რაც დასრულდება დამატებითი რაუნდები, სისტემა პრეტენდენტებს აჯგუფებს სატენდერო წინადადების ფასის მიხედვით. ამის შემდეგ შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ მოწმდება ყველაზე დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტის ტექნიკური დოკუმენტაცია.
18. თუ პრეტენდენტის სატენდერო წინადადება შეესაბამება სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებს, შემსყიდველი ორგანიზაცია მიმართავს მას საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენის მოთხოვნით.
19. საკვალიფიკაციო მონაცემები არის ადმინისტრაციული ორგანოებიდან წარმოსადგენი დოკუმენტები, რომლებიც წარმოდგენილ უნდა იქნას სატენდერო განცხადებით ან სატენდერო დოკუმენტაციით მათი მოთხოვნის შემთხვევაში. საკვალიფიკაციო

მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების გაცემის თარიღი არ უნდა უსწრებდეს წინადადებების მიღების დაწყების თარიღს.

20. საკვალიფიკაციო მონაცემების წარმოდგენისათვის შემსყიდველი პრეტენდენტს განუსაზღვრავს ვადას არაუმეტეს 5 სამუშაო დღისა.
21. იმ შემთხვევაში თუ ყველაზე დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტმა წარმატებით გაირა ყველა ზემოთ მოყვანილი ეტაპი (არ იქნა დისკვალიფიცირებული), ამ პრეტენდენტის მიერ საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების წარდგენიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა, შემსყიდველი დებს მასთან სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას.
22. იმ შემთხვევაში, თუ პრეტენდენტის მიერ სისტემაში ატვირთული ტექნიკური დოკუმენტაცია არ შეიცავს ისეთ მონაცემს ან/და შეიცავს ისეთ უზუსტობებს, რომელთა წარმოდგენა ან/და დაზუსტება არ გამოიწვევს ტექნიკური დოკუმენტაციის არსებით ცვლილებას და არ მოახდენს გავლენას წინადადების ფასზე შემსყიდველი მას განუსაზღვრავს არაუმეტეს 3 დღისა ტექნიკური დოკუმენტაციის დაზუსტებისათვის. დაუშვებელია ტექნიკური დოკუმენტაციის ისეთი დაზუსტება, რომელიც გამოიწვევს სატენდერო წინადადების არსებით ცვლილებას და მოახდენს გავლენას წინადადების ფასზე. ამ შემთხვევაში ხდება პრეტენდენტის დისკვალიფიკაცია.
23. პრეტენდენტის დისკვალიფიკაცია ხდება, ასევე:

    ა) თუ მის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები არ შეესაბამება სატენდერო განცხადებას ან/და სატენდერო დოკუმენტაციას;
    ბ) თუ ის არ დააზუსტებს ტექნიკურ დოკუმენტაციას ამ ინსტრუქციის 22-ე პუნქტით დადგენილ ვადაში;
    გ) თუ ის არ წარმოადგენს საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელ დოკუმენტებს ამ სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნათა დაცვით;
    დ) თუ ის არის გამარჯვებული პრეტენდენტი და უარს აცხადებს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადებაზე ან არ წარმოადგენს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიას;
    ე) თუ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადების უფლების მოპოვების მიზნით, ჩაიდენს არაკეთილსინდისიერ ქმედებას.“.

24. ასეთ შემთხვევაში, შემსყიდველ ორგანიზაციას უფლება აქვს მიმართოს ყველაზე დაბალი ფასის მქონე მომდევნო პრეტენდენტს, თუ ამ პრეტენდენტის მიერ სისტემაში ატვირთული ტექნიკური დოკუმენტაცია შეესაბამება სატენდერო განცხადებასა და სატენდერო დოკუმენტაციაში მოცემულ მოთხოვნებს.
25. თუ მომდევნო ყველაზე დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტის წინადადების ფასი ბაზარზე შეცვლილი გარემოებების შედეგად, მნიშვნელოვნად აღემატება დისკვალიფიცირებული პრეტენდენტის მიერ შემოთავაზებულ ფასს ან/და ამ შესყიდვის ობიექტის საბაზრო ღირებულებას, სატენდერო კომისიას უფლება აქვს შეწყვიტოს ტენდერი.
26. ხელშეკრულების ფორმა და პირობები მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში, რომელიც ხელშეკრულების დადების მომენტისათვის დაზუსტდება სატენდერო წინადადების შესაბამისად.
27. დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგი საკონტაქტო პირებისაგან:

სატენდერო კომისიის აპარატის წევრები:
ზურაბ ღონღაძე: ტელ: 406 369; ელ.ფოსტა: **zgongadze@nbg.gov.ge**

ნიკოლოზ ჩუხრუკიძე: ტელ: 406 398; ელ.ფოსტა: **nchukhrukidze@nbg.gov.ge**

შენიშვნები:

1. სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონული სისტემის მომხმარებლის სახელმძღვანელო მოცემულია საიტზე: **www.procurement.gov.ge;**
2. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2010 წლის 22 ოქტომბრის N9 ბრძანება „სახელმწიფო შესყიდვის ელექტრონული საშუალებით განხორციელების შესახებ დროებითი წესის დამტკიცების შესახებ“ მოცემულია საიტზე: **www.procurement.gov.ge;**

მოთხოვნა, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს მიმწოდებელი ტენდერში მონაწილეობის მისაღებად

1. მიმწოდებელი უნდა იყოს RIPE NCC-ში გაწევრიანებული და უნდა გააჩნდეს ლირის LIR-ის (Local Internet Registries) სტატუსის.

პრეტენდენტის ტექნიკური დოკუმენტაცია

1. პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი ტექნიკური დოკუმენტაცია უნდა შეიცავდეს შემდეგ დოკუმენტებსა და ინფორმაციას:
   ა) პრეტენდენტის უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერილ ინფორმაციას უკანასკნელი 1 წლის განმავლობაში ანალოგიური მომსახურების გაწევის შესახებ, შემსყიდველის მითითებით;
   ბ) პრეტენდენტის უფლებამოსილი პირის მიერ დამოწმებული ინფორმაცია, რომელიც დაადასტურებს, რომ პრეტენდენტი არის RIPE NCC-ში გაწევრიანებული და გააჩინია ლირის LIR-ის (Local Internet Registries) სტატუსის.
   გ) პრეტენდენტის სრულ რეკვიზიტებს (დასახელება, იურიდიული და ფაქტიური მისამართი, ხელმძღვანელის სახელი და გვარი, საკონტაქტო პირის/ების სახელი, გვარი, ტელეფონის ნომერი, ელ. ფოსტის მისამართი, საბაკო რეკვიზიტები).
   დ) პრეტენდენტის უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერილ დასტურს, რომ მომსახურება გაწეული იქნება ტექნიკურ დავალებასთან სრულ შესაბამისობაში.

2. მიმწოდებელი ვალდებულია გაეცნოს და დაეთანხმოს აფიდავიტის პირობებს, რა სახითაც იგი წარმოდგენილი იქნება სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში, სატენდერო წინადადების წარდგენამდე. აფიდავიტის საილუსტრაციო ფორმა მოცემულია დანართ N1-ში. დანართი N1–ით გათვალისწინებული აფიდავიტის ფორმა დოკუმენტაციაში წარმოდგენილია მხოლოდ საილუსტრაციო მიზნებისთვის. აფიდავიტის პირობებზე დათანხმება ხდება ერთიან ელექტრონულ სისტემაში ელექტრონულად შესაბამის ღილაკზე დაჭერით.

3. პრეტენდენტს არა აქვს უფლება წარმოადგინოს ალტერნატიული სატენდერო წინადადება.

საკვალიფიკაციო მოთხოვნები

1. პრეტენდენტმა, შემსყიდველის შესაბამისი მოთხოვნის შემდეგ, უნდა წარმოადგინოს საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი შემდეგი დოკუმენტები:

1.1 იურიდიული პირისათვის და ინდივიდუალური მეწარმისათვის:

ა) ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრიდან;

ბ) ცნობა მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრიდან, რომ არ ხორციელდება იურიდიული პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

შენიშვნები:

- *საჯარო სამართლის იურიდიული პირი 1.1 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დოკუმენტების ნაცვლად წარმოადგენს მისი შექმნის თაობაზე ძალაში მყოფ შესაბამისი დოკუმენტის დედანს ან ნოტარიულად დამოწმებულ ასლს.“*
- *ინდუვიდუალური საწარმო არ წარადგენს 1.1 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ დოკუმენტს*

1.2 ფიზიკური პირებისათვის**:**

ა) ნასამართლობის შესახებ ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი ორგანოდან, რომლითაც დასტურდება, რომ პირი არ არის ნასამართლევი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის შემდეგი თავებით გათვალისწიებული დანაშაულისათვის: თავი XXVI დანაშაული სამეწარმეო ან სხვა ეკონომიკური საქმიანობის წინააღმდეგ და თავი XXXIX სამოხელეო დანაშაული;

ბ) პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი;

ტექნიკური დავალება

1. გასაწევი მომსახურება: საქართველოს ეროვნული ბანკისათვის LIR-ის (Local Internet Registries) მეშვეობით RIPE NCC-ში გაწევრიანებით დამოუკიდებელი ინტერნეტ რესურსებით - IP მისამართების /24 დიაპაზონით და ASN (ავტონომიური სისტემა)-ით სარგებლობის უზრუნველყოფა.

2. ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 3 კვირის ვადაში მიმწოდებლის მხრიდან საქართველოს ეროვნულ ბანკს უნდა გადაეცეს LIR-ის (Local Internet Registries) მეშვეობით RIPE NCC-ში დარეგისტრირებული IP მისამართები.

3. მომსახურების გაწევის ვადა შეადგენს: მიმწოდებლის მხრიდან დარეგისტრირებული IP მისამართების გადაცემიდან 12 თვის განმავლობაში.

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პროექტი

ხელშეკრულება N

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პროექტს, რომელიც დაიდება გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად. წინამდებარე ხელშეკრულების პროექტის პირობების დაზუსტება განხორციელდება გამარჯვებული პრეტენდენტის სატენდერო წინადადების შესაბამისად, რომელიც ამავდროულად თანდართული ექნება ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ქ. თბილისი 20___ წელი

ერთის მხრივ სსიპ საქართველოს ეროვნული ბანკი (შემდგომში ,,შემსყიდველი") წარმოდგენილი მისი აღმასრულებელი დირექტორის გიორგი მელაშვილის სახით და მეორეს მხრივ, ——————— (შემდგომში ,,მიმწოდებელი") წარმოდგენილი მისი დირექტორის———————სახით, სახელმწიფო შესყიდვების კანონის და პრეტენდენტის (მისი დასახელება) სატენდერო წინადადების საფუძველზე, გამარტივებული ელქტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს შემსყიდველისათვის LIR-ის (Local Internet Registries) მეშვეობით RIPE NCC-ში გაწევრიანებით დამოუკიდებელი ინტერნეტ რესურსებით - IP მისამართების /24 დიაპაზონით და ASN (ავტონომიური სისტემა)-ით სარგებლობის უზრუნველყოფა (შემდგომში „მომსახურების") ტექნიკური დავალების შესაბამისად.

მუხლი 2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

2.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი (ინსპექტირება), რომლის მიზანია მომსახურების შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

2.2. ხელშეკრულების 2.1 პუნქტით გათვალისწინებულ კონტროლს (ინსპექტირებას) შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს სებ–ის შესყიდვების და ლოჯისტიკის დეპარტამენტის უფროსი გიორგი მელაშვილი და/ან სებ–ის საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტის უფროსი ივანე ჯავრიშვილი;

2.3. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

მუხლი 3. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

3.1. მიმწოდებელმა შემსყიდველისათვის მომსახურების გაწევა უნდა განახორციელოს ტექნიკური დავალებით განსაზღვრული პირობების და ვადების შესაბამისად.

3.2 ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 3 კვირის ვადაში მიმწოდებლის მხრიდან შემსყიდველს უნდა გადაეცეს LIR-ის (Local Internet Registries) მეშვეობით RIPE NCC-ში

დარეგისტრირებული IP მისამართები, რაც უნდა დადასტურდეს მხარეთა მიერ განსაზღვრული უფლებამოსილი პირების მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით.

3.3 მიმწოდებელმა მომსახურების გაწევა უნდა განახორციელოს წინამდებარე ხელშეკრულების 3.2 პუნქტით განსაზღვრული დარეგისტრირებული IP მისამართების გადაცემიდან 12 თვის განმავლობაში.

3.4 მომსახურება ან მისი ნაწილი ჩაითვლება მიღებულად, ყოველი თვის ბოლოს მხოლოდ მხარეთა მიერ განსაზღვრული უფლებამოსილი პირების მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

3.5. მომსახურები მიღების შემდეგ ან/და საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

3.6. შემსყიდველი ვალდებულია დროულად აცნობოს მიმწოდებელს საბოლოო შემოწმების შედეგები დაწუნებული მომსახურების და წუნდების მიზეზის მითითებით.

3.7. შემსყიდველის მხრიდან წინამდებარე ხელშეკრულების 3.2. და 3.3 პუნქტში აღნიშნული მიღება-ჩაბარების აქტის ხელმომწერი პირია სებ–ის შესყიდვების და ლოჯისტიკის დეპარტამენტის უფროსი გიორგი მელაშვილი.

მუხლი 4. ხელშეკრულების ფასი და ანგარიშსწორების წესი

4.1. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების საერთო ღირებულება შეადგენს _____ ლარს („ხელშეკრულების ფასი“).

4.2. ხელშეკრულების ფასი მოიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

4.3. ხელშეკრულების 4.1. პუნქტში მითითებული ფასის გადახდა ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით.

4.4. ანგარიშსწორება ხორციელდება წინამდებარე ხელშეკრულების 3.3 ქვეპუნქტის შესაბამისად მომსახურები ან მისი ნაწილის მიღებიდან და მიმწოდებელის მიერ სათანადო დოკუმენტაციის წარმოდგენიდან (იმისდამიხედვით რომელი უფრო გვიან მოხდება) არაუმეტეს 20 (ოცი) სამუშაო დღის განმავლობაში.

მუხლი 5. მხარეთა უფლება–მოვალეობები

5.1. შემსყიდველს უფლება აქვს მიიღოს მიმწოდებლის მიერ ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას გაწეული მომსახურება;

5.2. შემსყიდველი ვალდებულია გადაუხადოს მიმწოდებელს ხელშეკრულების ფასი ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

5.3. მიმწოდებელი ვალდებულია ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას გაუწიოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება;

5.4. მიმწოდებელს უფლება აქვს გაწეული მომსახურების სანაცვლოდ მიიღოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფასი.

მუხლი 6. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

6.1. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის (ან არაჯეროვნად შესრულების) შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია დააკისროს მას პირგასამტეხლო ხელშეკრულების ფასის 0,1%-ის ოდენობით, შეუსრულებელი ვალდებულების ყოველი დღისათვის, რომლის გადახდა მოხდება მისთვის ასანაზღაურებელი თანხიდან გამოქვითვის საშუალებით.

6.2. გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში მიმწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადასახდელი თანხის 0,1%–ის ოდენობით.
6.3. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს არც ერთ მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.
6.4. იმ შემთხვევაში, თუ საჯარიმო სანქციების ჯამური ოდენობა შეადგენს ხელშეკრულების ფასის 15%–ს მხარეები უფლებამოსილნი არიან ცალმხრივად გაწყვიტონ ხელშეკრულება.

მუხლი 7. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა
7.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.
7.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
7.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით.
7.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.
7.5. მხარე ვალდებულია 8.4 პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.
7.6. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

მუხლი 8. დაუძლეველი ძალა
8.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.
8.2 თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან;
8.3 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

მუხლი 9. დავები და მათი გადაწყვეტის წესი
9.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2012 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

მუხლი 11. ზოგადი დებულებები

11.1. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება, მეორე მხარისაგან წერილობითი თანხმობის გარეშე თავისი უფლებები ან ვალდებულებანი გაასხვისოს ან გადასცეს მესამე პირებს.

11.2. მხარეები თანხმდებიან, რომ ის ურთიერთობანი, რომელიც არ იქნა რეგულირებული წინამდებარე ხელშეკრულებით, რეგულირებული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

11.3. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ თანაბარ იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად (ერთი ეგზემპლარი მიმწოდებელს, ორი ეგზემპლარი შემსყიდველს).

მხარეები არსებითად ეთანხმებიან ხელშეკრულების პირობებს და ყოველივე ზემოთქმულის დასტურად გააფორმეს წინამდებარე ხელშეკრულება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ამ დოკუმენტის თავში მითითებულ დღესა და წელს.

შემსყიდველის მხრიდან:	**მიმწოდებლის მხრიდან:**
(უფლებამისილი პირის სახელი, გვარი, ხელმოწერა და თანამდებობა)	*(უფლებამისილი პირის სახელი, გვარი, ხელმოწერა და თანამდებობა)*
ბ.ა.	ბ.ა.

აფიდავიტის საილუსტრაციო ფორმა

აფიდავიტი

სატენდერო წინადადების დამოუკიდებლად განსაზღვრის თაობაზე

გამოცხადებულ ტენდერში მონაწილეობის მიღების მიზნით, ვადასტურებ, რომ ჩემს მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება შემუშავებულია კონკურენტისგან დამოუკიდებლად. ასევე ვადასტურებ, რომ:

* ჩემთვის ცნობილია, რომ სატენდერო წინადადება დისკვალიფიცირებულ იქნება, თუ აღმოჩნდა, რომ აფიდავიტში მოცემული ინფორმაცია არის ყალბი ან/და ცრუ;

* უფლებამოსილი ვარ პრეტენენტის მიერ, ხელი მოვაწერო ამ აფიდავიტს და წარვადგინო ეს სატენდერო წინადადება;

* ნებისმიერ პირი, რომლის ხელმოწერაც დაფიქსირებულია სატენდერო წინადადებაზე, შესაბამისად უფლებამოსილია პრეტენდენტის მიერ;

* ჩემთვის ცნობილია რომ ტერმინი "კონკურენტი" აფიდავიტის მიზნებიდან გამომდინარე, გულისხმობს ნებისმიერ პირს, რომელიც შესაძლებელია იყოს პრეტენდენტი ან/და წარადგინოს სატენდერო წინადადება ამ ტენდერში;

* მატერიალური გამორჩენის ან უპირატესობის მიღების მიზნით პრეტენდენტსა და კონკურენტს შორის არ წარმოებულა კონსულტაცია, კომუნიკაცია, შეთანხმება ან მოლაპარაკება შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:

- სატენდერო წინადადების ფასი;
- სატენდერო წინადადების ფასის გამოთვლის მეთოდი, კოეფიციენტი ან ფორმულა;
- სატენდერო წინადადების წარდგენა ან წარდგენისგან თავის შეკავება;
- ისეთი სატენდერო წინადადების განზრახ წარდგენა, რომელიც არ აკმაყოფილებს გამოცხადებული ტენდერის პირობებს;
- შესყიდვის ობიექტის ხარისხი, მოცულობა, ტექნიკური პირობები ან მიწოდების დეტალები, რომელთაც ეხება სატენდერო წინადადება;

* სატენდერო წინადადების პირობები პრეტენდენტს წინასწარი განზრახვით, პირდაპირ ან არაპირდაპირ, არ გაუმჟღავნებია ან/და არ გაუმჟღავნებს კონკურენტს სატენდერო წინადადების განსაჯაროების მომენტამდე.

გავეცანი ამ აფიდავიტის შინაარსს და ვადასტურებ წარმოდგენილი ინფორმაციის უტყუარობას.

სახელმწიფო შესყიდვების მიზნებისთვის, აფიდავიტი წარმოადგენს სატენდერო წინადადების დამოუკიდებლად განსაზღვრის თაობაზე წერილობით დოკუმენტს, რომლის ხელმომწერი, პრეტენდენტის სახელით, ადასტურებს დოკუმენტში მითითებული ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარობას და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით პასუხს აგებს აღნიშნული ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარობაზე. აფიდავიტით განსაზღვრული პირობების დარღვევა ინვევს სისხლის-სამართლებრივ პასუხისმგებლობას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 195^1 მუხლის შესაბამისად.